ხელშეკრულება №6

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

ქალაქი ქუთაისი 06 მარტი 2024 წელი

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის იოსებ ხახალეიშვილის სახით (ტექსტში - ,,გამნათხოვრებლად" წოდებული) ერთის მხრივ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთგანათების სერვისის'' (საიდენტიფიკაციო კოდი №412734288) დირექტორის მალხაზი ბასილაძე სახით (შემდგომში - ,,მონათხოვრედ" წოდებული) მეორეს მხრივ, ვდებთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავის ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ხელშეკრულებას, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები ხელშეკრულების საგნის მიმართ.

მუხლი 2. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

ამ ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებით დამტკიცებული წესი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №264 განკარგულება და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 06 მარტის №ბ44.44240662 ბრძანება.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

3.1. გამნათხოვრებელი გადასცემს, ხოლო მონათხოვრე პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში იღებს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, 4 (ოთხი) ერთეულ მოძრავ ქონებას, 54 209.95 (ორმოცდათოთხმეტი ათას ორას ცხრა ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ღირებულების ელექტროავტომობილების სამუხტ აპარატებს, (ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედანზე კოლანდის აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი №03.03.21.305) განთავსებული 2 (ორი) ერთეული და ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №14-ის სამხრეთით (საკადასტრო კოდი №03.03.21.397) განთავსებული 2 (ორი) ერთეული).

3.2. ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად, მხარეებს შორის ფორმდება სარგებლობაში გადასაცემი ქონების მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ასევე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 4. ხელშეკრულების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 (ოთხი) ერთეული მოძრავი ქონება, 54 209.95 (ორმოცდათოთხმეტი ათას ორას ცხრა ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ღირებულების ელექტროავტომობილების სამუხტი აპარატები, (ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედანზე კოლანდის აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი №03.03.21.305) განთავსებული 2 (ორი) ერთეული და ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №14-ის სამხრეთით (საკადასტრო კოდი №03.03.21.397) განთავსებული 2 (ორი) ერთეული). პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაიცემა არსებობის ვადით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. გამნათხოვრებელი ვალდებულია:

ა) მოამზადოს ქონების გადასაცემად საჭირო დოკუმენტაცია;

ბ) ხელი შეუწყოს მონათხოვრის მიერ თხოვების ფორმით მიღებული მოძრავი ქონებით სარგებლობას.

5.2. გამნათხოვრებელს უფლება აქვს:

ა) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაათვალიეროს უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაცემული ქონება,

ბ) მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, თუკი:

ბ.ა) მონათხოვრე, წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, არღვევს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლო თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №264 განკარგულებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 06 მარტის №ბ44.44240662 ბრძანებითა და მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს;

ბ.ბ) მონათხოვრე განზრახ ან გაუფრთხილებლობით აუარესებს უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაცემული მოძრავი ქონების მდგომარეობას, რითაც ზიანი ადგება გამნათხოვრებელს, აღნიშნული მიზეზების წარმოშობის შემთხვევაში მესაკუთრე 1 (ერთი) კვირით ადრე, წერილობით აცნობებს მონათხოვრეს ხელშეკრულების გაუქმების შესახებ და თუ ამ ვადაში მონათხოვრემ არ წარმოადგინა ხელშეკრულების გაუქმების მიზეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, მესაკუთრე უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება დადგენილი წესით და დაიბრუნოს სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება;

ბ.გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

5.3. მონათხოვრე ვალდებულია:

ა) მისთვის გადაცემული ქონების გამოყენებისას დაიცვას სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს;

ბ) დაიცვას დაზიანებისაგან თხოვების ფორმით მიღებული მოძრავი ქონება, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ მისით უკანონოდ სარგებლობა;

გ) არ განახორციელოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ქონების მიმართ;

დ) აუნაზღაუროს გამნათხოვრებელს ქონების მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული ზიანი, კერძოდ, მისი ღირებულების 20%-ის ოდენობით, ამასთან ნორმალური ცვეთა მხედველობაში არ მიიღება;

ე) წინამდებარე ხელშეკრულებით, სარგებლობაში გადაცემული, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 (ოთხი) ერთეული მოძრავი ქონება, 54 209.95 (ორმოცდათოთხმეტი ათას ორას ცხრა ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ღირებულების ელექტროავტომობილების სამუხტი აპარატები, (ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედანზე კოლანდის აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი №03.03.21.305) განთავსებული 2 (ორი) ერთეული და ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №14-ის სამხრეთით (საკადასტრო კოდი №03.03.21.397) განთავსებული 2 (ორი) ერთეული). გამოიყენოს მისი პირდაპირი დანიშნულებით;

ვ) გამნათხოვრებლის თანხმობის გარეშე არ გადასცეს ნათხოვარი მოძრავი ქონება მესამე პირებზე სარგებლობის ფორმით;

ზ) საკუთარი სახსრებით აწარმოოს მოძრავი ქონების მოვლა-პატრონობა. აღნიშნული მიზნით გაწეული ხარჯები გამნათხოვრებლის მხრიდან კომპენსაციას არ ექვემდებარება;

თ) მოთხოვნისთანავე, დაუბრუნოს გამნათხოვრებელს ქონება ნორმალურ მდგომარეობაში.

ი) გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემული ქონების კომუნალური მომსახურეობის გადასახდელები ქალაქ ქუთაისში დადგენილი ტარიფებისა და წესის მიხედვით:

5.4. მონათხოვრეს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაცემული ქონება გამოუსადეგარი გახდა იმ გარემოებათა გამო, რომლისთვისაც მონათხოვრეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება;

ბ) სარგებლობაში გასცეს (გააქირავოს, იჯარით გასცეს, თხოვების ფორმით გადასცეს) თხოვების უფლებით გადაცემული ქონება ან მისი ნაწილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან

შეთანხმებით. ამასთან, სარგებლობის პირობები უნდა გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ვადის დასრულების ან ვადამდე გაუქმების შემთხვევაში სარგებლობა წყდება.

5.5. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ქონების საკუთრების უფლება

6.1. სარგებლობაში გადაცემული ქონების გამოყენებით შექმნილი პროდუქცია, შემოსავალი, აგრეთვე ამ შემოსავლის ხარჯზე შეძენილი ქონება ეკუთვნის მონათხოვრეს.

6.2. სარგებლობაში გადაცემული ქონების მიმღების საკუთრებაა, სარგებლობაში გადაცემული ქონების მთელი ის გაუმჯობესებული ნაწილი, რომელიც მან შეძლო საკუთარი და მასთან გათანაბრებული სხვა სახსრებით და რომელთა გამოყოფა შეიძლება სარგებლობაში გადაცემული ქონების დაუზიანებლად. იმ შემთხვევაში, თუ ქონების ნაწილის გამოყოფა ქონებისაგან შეუძლებელია, სარგებლობაში გადაცემული დაუზიანებლად, მათი ღირებულება მესაკუთრის მიერ არ ანაზღაურდება.

მუხლი 7. ფორს - მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გამო.

7.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებას, რომელიც წარმოიშვა მხარეთა ნების გარეშე და რომლის დადგომისა და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სტიქიურ უბედურებებს, მიწისძვრებს, საომარ მოქმედებებს, სამოქალაქო არეულობებს და სხვა. აგრეთვე, კანონმდებლობის შეცვლა, სახელმწიფო ორგანოების მოქმედებები, რომლებიც შეუძლებელს გახდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულ შემთხვევებში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიწევს იმ ვადით, რა პერიოდშიც იარსებებს დაუძლეველ ძალთა სიტუაცია. ვალდებულების შესრულების ვადის გადაწევა არ მოხდება იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარემ დაკარგა ინტერესი მეორე მხარის მიერ ვალდებულების შესრულებისადმი.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეების მიერ, მოქმედი კანონმდებლობისა და ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული ცვლილება ან/და დამატება ძალაშია ხელშეკრულების (ცვლილების) ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 9. სხვა დებულებანი

9.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი სხვა სადაო საკითხები წყდება მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო გადაუწყვეტლობის შემთხვევაში სასამართლოში.

9.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან და ძალაშია ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

გამნათხოვრებელი:	**მონათხოვრე:**
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
იოსებ ხახალეიშვილი	პირი ,,ქუთგანათების სერვისის''
	(საიდენტიფიკაციო კოდი №412734288)
	დირექტორის მალხაზი ბასილაძე
ხელმოწერა:	**ხელმოწერა:**

მიღება – ჩაბარების აქტი

ქალაქი ქუთაისი **06 მარტი 2024 წელი**

ეს აქტი შევადგინეთ მასზედ რომ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის იოსებ ხახალეიშვილის სახით (ტექსტში - „გამნათხოვრებლად“ წოდებული) სახით ერთის მხრივ ჩააბარა, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის” (საიდენტიფიკაციო კოდი №412734288) დირექტორმა მალხაზი ბასილაძემ (შემდგომში - „მონათხოვრედ“ წოდებული) მეორეს მხრივ ჩაიბარა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 4 (ოთხ) ერთეულ მოძრავ ქონება, 54 209.95 (ორმოცდათოთხმეტი ათას ორას ცხრა ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ღირებულების ელექტროავტომობილების სამუხტი აპარატები, (ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედანზე კოლანდის აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი №03.03.21.305) განთავსებული 2 (ორი) ერთეული და ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №14-ის სამხრეთით (საკადასტრო კოდი №03.03.21.397) განთავსებული 2 (ორი) ერთეული).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
იოსებ ხახალეიშვილი

ხელმოწერა:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
212721170

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირის „ქუთგანათების სერვისის”
(საიდენტიფიკაციო კოდი №412734288)
დირექტორის მალხაზი ბასილაძე

ხელმოწერა:

ქალაქ ქუთაისის განათების სერვისი
412734288
MUNIC. „LIGHTING SERVICE OF KUTAISI“

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ44. 44240662**

თარიღი:**06/03/2024**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების,
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქუთგანათების სერვისისათვის"
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში
გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.გ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №264 განკარგულების საფუძველზე:

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. გადაეცეს უვადო სარგებლობაში არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ქუთგანათების სერვისს" (საიდენტიფიკაციო კოდის №412734288), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 4 (ოთხი) ერთეული მოძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, 54 209.95 (ორმოცდათოთხმეტი ათას ორას ცხრა ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ღირებულების ელექტროავტომობილების სამუხტი აპარატები, (ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედანზე კოლანდის აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი №03.03.21.305) განთავსებული 2 (ორი) ერთეული და ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №14-ის სამხრეთით (საკადასტრო კოდი №03.03.21.397) განთავსებული 2(ორი) ერთეული).

მუხლი 2. სარგებლობის ვადა განისაზღვროს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის" (საიდენტიფიკაციო კოდის №412734288), არსებობის ვადით.

მუხლი 3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ იუზა უგულავამ.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსები სახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოუყენებლად ეკალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო, 4600, ქ უ თ ა ი ს ი, რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს გ ა მ ბ. N3 ტ ე ლ: (+431) 240648; ე ლ-ფ ო ს ტ ა: CONTACT@KUTAISI.GOV.GE;
ვ ე ბ-გ ვ ე რ დ ი: WWW.KUTAISI.GOV.GE
N3 RUSTAVELI AVE, KUTAISI. GEORGIA, 4600. TELEPHONE: (+431) 240648; E-MAIL: CONTACT@KUTAISI.GOV.GE, WEBSITE: WWW.KUTAISI.GOV.GE

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 264

ქალაქი ქუთაისი 31 იანვარი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.გ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 23 იანვრის №44-4424023702 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №412734288), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 4 (ოთხი) ერთეული მოძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, 54 209.95 (ორმოცდათოთხმეტი ათას ორას ცხრა ათასი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ღირებულების ელექტროავტომობილების სამუხტი აპარატების, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე (ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედანზე კოლონადას აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი № 03.03.21.305) განთავსებული ორი ერთეული და ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №14-ის სამხრეთით (საკადასტრო კოდი № 03.03.21.397) განთავსებული ორი ერთეული).

მუხლი 2. სარგებლობის ვადა განისაზღვროს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის" (საიდენტიფიკაციო კოდის № 412734288), არსებობის ვადით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა ტეხრუნვაქუაოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის გაფორმება.

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 105
„1" 02 2024 წ.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — ირაკლი შენგელია

,,ვამტკიცებ“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

იუზა უგულავა

მიღება -ჩაბარების აქტი N1

(საბოლოო)

ქ.ქუთაისი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნმა, ერთი მხრივ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა ანტონ ჩიხლაძემ /შემსყიდველმა/ და მეორე მხრივ შპს ,,ჰედერ კონსტრაქშენ“-ის დირექტორმა ოთარ ალავიძე /მიმწოდებელი/ შევადგინეთ არნიშნული აქტი შემდეგზე:

შპს ,,ჰეადერ კოსტრაქშენ“-ის მიერ 2023 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით შესრულდა ქალაქ ქუთაისის მერიასტან 2023 წლის 5 მაისს გაფორმებული N 252 ხელშკრუკლების შესაბამისად , ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერისტორიაზე ,დავით აღმაშენებლის მოედანზე (,,სვეტებთან“) (ს.კ 03.03.21.305) და ფანჯიკიძის ქუჩაზე (ს.კ 03.03.21.397) ელექტრომობილების სამუხტი აპარატების მოწყობის სამუშაოები (NAT230008588) ღირებულებით-54166,02 ლარი.

სულ ხელშკრულების ფარგლებში შესრულებულმა სამუშაომ შედგინა -54166,02

რაზედაც ხელს ვაწერთ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის

მუნიციპალური და საბიანო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

ა.ჩიხლაძე

შპს ,,ჰეადერ კონსტრაქშენ“-ის დირექტორი

ო. ალავიძე

,,ვამტკიცებ“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

იუზა უგულავა

მიღება -ჩაბარების აქტი N1

(საბოლოო)

ქ.ქუთაისი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნმა, ერთი მხრივ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა ანტონ ჩიხლაძემ /შემსყიდველმა/ და მეორე მხრივ შპს ,,ჰედერ კონსტრაქშენ“-ის დირექტორმა ოთარ ალავიძე /მიმწოდებელი/ შევადგინეთ არნიშნული აქტი შემდეგზე:

შპს ,,ჰეადერ კოსტრაქშენ“-ის მიერ 2023 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით შესრულდა ქალაქ ქუთაისის მერიასტან 2023 წლის 5 მაისს გაფორმებული N 252 ხელშკრუკლების შესაბამისად , ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერისტორიაზე ,დავით აღმაშენებლის მოედანზე (,,სვეტებთან“) (ს.კ 03.03.21.305) და ფანჯიკიძის ქუჩაზე (ს.კ 03.03.21.397) ელექტრომობილების სამუხტი აპარატების მოწყობის სამუშაოები (NAT230008588) ღირებულებით-54166,02 ლარი.

სულ ხელშკრულების ფარგლებში შესრულებულმა სამუშაომ შედგინა -54166,02

რაზედაც ხელს ვაწერთ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის

მუნიციპალური და საბიანო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

ა.ჩიხლაძე

შპს ,,ჰეადერ კონსტრაქშენ“-ის დირექტორი

ო. ალავიძე